ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების ხელშეკრულება

2021 წლის 06 იანვარი

მხარეები:

ერთის მხრივ, **შპს "მაგთიკომი" (შემდგომში "შემსრულებელი")** - ელექტრონული საკომუნიკაციო კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებული იურიდიული პირი, ს/კ 204876606, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. N7, 0186 ოფიციალური ვებ-გვერდის მისამართი: www.magticom.ge, 24-საათიანი ცხელი ხაზის ნომერი: 11 00 11 (შემდგომში "ცხელი ხაზი") და, *მეორეს* მხრივ, **სსიპ კოლეჯი „აისი" (შემდგომში "დამკვეთი")** - ს/კ 227770800, იურიდიული მისამართი: გურჯაანი ს. კაჭრეთი . „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის #1805 განკარგულებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" შესაბამისად, მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტება.

1.1. **ინტერნეტი** - გლობალურ კომპიუტერულ ქსელთან კავშირი;

1.2. **მომსახურება/ინტერნეტ-მომსახურება/შეკვეთილი მომსახურება** - შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის შეკვეთის ფორმით განსაზღვრული ოპტიკური ინტერნეტის /და Radio ინტერნეტის მიწოდება;

1.3. **შეკვეთის ფორმა** - ამ ხელშეკრულების დანართი, რომლითაც განისაზღვრება დამკვეთის მიერ შეკვეთილი ინტერნეტ-მომსახურების სახე, ძირითადი მახასიათებლები და ანგარიშსწორების პირობები;

1.4. **ოპტიკური ინტერნეტი** - ოპტიკურ–ბოჭკოვანი ქსელის (მათ შორის, ე.წ. FTTP; FTTB; FTTH) პრინციპით მოწყობილი ქსელი) მეშვეობით მიწოდებული ინტერნეტი;

1.5. **Radio ინტერნეტი** –Radio ინტერნეტ-მომსახურების აპარატურის მეშვეობით მიწოდებული უკაბელო ინტერნეტი;

1.6. **Wi-Fi** - მომსახურების ფარგლებში მიწოდებული ლოკალური უკაბელო ინტერნეტი;

1.7. **ინტერნეტ-მომსახურების აპარატურა** – ინტერნეტ-მომსახურების მისაწოდებლად საჭირო მოდემი, მარშრუტიზატორი, სვიჩი ან/და სხვა მოწყობილობები, კერძოდ, IP ქსელური აპარატურა, aDSL აპარატურა, Radio აპარატურა და Wi-Fi აპარატურა;

1.8. **ინსტალაცია** - შემსრულებლის მიერ დამკვეთის შიდა ქსელში ინტერნეტ-მომსახურების აპარატურის მონტაჟი და დამკვეთისათვის შეკვეთილი მომსახურების გაწევის დაწყება;

1.9. **სადემარკაციო წერტილი** – ადგილი, სადაც დამკვეთის შიდა ქსელი უერთდება შემსრულებლის საერთო საკომუნიკაციო ქსელს და, სადაც ხდება დამკვეთისა და შემსრულებლის ვალდებულებების გამიჯვნა. ორაზროვნებისა და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ინტერნეტ-მომსახურების აპარატურა მდებარეობს სადემარკაციო წერტილიდან დამკვეთის მხარეს, დამკვეთის შიდა ქსელში;

1.10. **მენეჯერი** - შემსრულებლის ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც დამკვეთთან ურთიერთობაში მოქმედებს შემსრულებლის სახელით;

1.11. **სამუშაო საათები** - დროის პერიოდი ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით (გარდა უქმე დღეებისა), თბილისის დროით დილის 9-დან საღამოს 6 საათამდე;

1.12. **საანგარიშო პერიოდი** - კალენდარული თვე;

1.13. **ინდივიდუალური შეტყობინება** - შეკვეთის ფორმით განსაზღვრულ დამკვეთის საკონტაქტო მონაცემებზე შემსრულებლის მიერ გადაცემული წერილობითი შეტყობინება, ასევე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტით განსაზღვრული ინდივიდუალური შეტყობინების სხვა ფორმა;

1.14. **მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტი** - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ 2006 წლის 17 მარტის დადგენილება #3-ით დამტკიცებული ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტი;

1.15. **მომხმარებლის პირადი სივრცე** - დამკვეთისთვის განკუთვნილი, პაროლით დაცული ინტერნეტ პორტალი, რომლის გამოყენებით დამკვეთს საშუალება აქვს, შემსრულებლის მიერ დადგენილი წესების და პირობების შესაბამისად, ისარგებლოს ხელმისაწვდომი დისტანციური ოპერაციებით, რაც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) მომსახურებ(ებ)ის შესახებ ინფორმაციის დათვალიერებას, კონკრეტულ მომსახურებასთან დაკავშირებული ტექნიკური თუ ფინანსური პრობლემების დაფიქსირებასა და დაფიქსირებულ პრობლემაზე შემსრულებლისგან სტატუსის მიღებას.

2. ხელშეკრულების საგანი. მომსახურების ძირითადი პირობები.

2.1. ხელშეკრულების საგანია ინტერნეტ-მომსახურების მიწოდება. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, მიაწოდოს დამკვეთს შეკვეთის ფორმით განსაზღვრული ინტერნეტ-მომსახურება, რის სანაცვლოდაც, დამკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს შემსრულებელს შეკვეთის ფორმით განსაზღვრული საფასური.

2.2. შეკვეთის ფორმაში მოცემული ცხრილის თითოეულ ჰორიზონტალურ რიგში მითითებული მახასიათებლების მქონე მომსახურება არის ამავე ცხრილის სხვა ჰორიზონტალურ რიგში მოცემული მომსახურებისგან დამოუკიდებელი.

2.3. შემსრულებელი დამკვეთს, მომსახურების გაწევის მიზნით, დროებით სარგებლობაში გადასცემს მის კუთვნილ ინტერნეტ-მომსახურების აპარატურას. ამასთან, Wi-Fi აპარატურა, შესაძლოა, ეკუთვნოდეს დამკვეთს.

2.4. ოპტიკური ინტერნეტისთვის შემსრულებლის სერვერზე განთავსებული რესურსებიდან პაკეტის გადაცემის დაყოვნება (Round-trip-delay), ანუ დრო, რომელიც სჭირდება შემსრულებლის სერვერიდან დამკვეთის IP მისამართზე სიგნალის გაგზავნას და სიგნალის მიღების შესახებ პასუხის უკან მიღებას, შეადგენს არაუმეტეს 250 მლ/წმ-ს.

2.5. aDSL ინტერნეტის მიწოდებისათვის დამკვეთს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ფიქსირებული ქსელების ტელეფონის ნომერი ან უახლოესი სატელეფონო სადგურიდან/კომუტატორიდან ჰქონდეს მიყვანილი სატელეფონო წყვილი იმ ადგილამდე, სადაც სურს aDSL ინტერნეტის მიღება. ამასთან, არ არის აუცილებელი დამკვეთი იყოს შემსრულებლის სატელეფონო მომსახურების მიმღები აბონენტი.

2.6. Radio ინტერნეტის მიწოდება ხორციელდება უკაბელოდ, რადიოსიხშირული ტალღების მიმღები მოწყობილობის - Radio აპარატურის, მეშვეობით.

2.7. ინტერნეტ-მომსახურების მიწოდებისას შემსრულებელი უზრუნველყოფს პორტების გახსნილობას. შემსრულებელი ზღუდავს დაშვებას მხოლოდ 25-ე პორტზე სპამის თავიდან აცილების, დამკვეთისა და შემსრულებლის ინფორმაციის/რესურსების დაცვისა და უსაფრთხოების მიზნით. აღნიშნული პორტის გახსნა შესაძლებელია დამკვეთის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

3. მომსახურებით სარგებლობის ძირითადი წესები

3.1. ინტერნეტ-მომსახურებით სარგებლობისას აკრძალულია:

3.1.1. მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტით განსაზღვრული არასასურველი ელექტრონული გზავნილების (Spam), დაუშვებელი პროდუქციის, კომპიუტერული ვირუსების, თაღლითური ან/და სხვა მავნე პროგრამების გავრცელება/გადამისამართება;

3.1.2. ტექნოლოგიურ კომპონენტებში (აგრეგატებში), პროგრამებში, მონაცემთა ბაზებში და ინტერნეტის სხვა კომპონენტებში არასანქცირებული შეღწევა;

3.1.3. მომსახურების სხვა მესამე პირებისათვის მიწოდება ნებისმიერი გზით, მათ შორის, მომსახურების პაკეტის გაყოფა ნებისმიერი სხვა მესამე პირისათვის.

3.2. მომსახურებით სარგებლობის დროს, დამკვეთი ვალდებულია, გაითვალისწინოს ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ყველა მოთხოვნა, მათ შორის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილებებში ასახული არასრულწლოვნების მიერ ინტერნეტით გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვები და სხვა.

3.3. დამკვეთი ვალდებულია, მომსახურებით არასანქცირებული სარგებლობის აღმოჩენის შემთხვევაში, აღკვეთოს ასეთი სარგებლობა ან, აღკვეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, უმოკლეს ვადაში შეატყობინოს შემსრულებელს მომსახურებით არასანქცირებული სარგებლობის შესახებ.

3.4. დამკვეთი ვალდებულია მომსახურების მიღებისას იმოქმედოს კეთილსინდისიერად და არ დაუშვას ქმედება, რომლითაც შესაძლოა ზიანი მიადგეს შემსრულებელს ან მესამე პირს, მათ შორის, ქსელში უნებართვო ჩართვა, მომსახურების გადაყიდვა/გადაცემა. დაუშვებელია შემთხვევები, როდესაც

მომსახურების მიღებისას ადგილი აქვს მესამე პირთა პირადი ცხოვრების ან მათი სიმშვიდის შემლახავი, მუქარის შემცველი, მათთვის მატერიალური ზიანის მიმყენებელი, ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი ან სხვა ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს ან მომსახურებით სარგებლობისას დამკვეთი აწარმოებს სპამის, დაუშვებელი პროდუქციის, კომპიუტერული ვირუსის, თაღლითური ან მავნე პროგრამების გავრცელებას ან გადამისამართებას ან ახორციელებს სხვა, მათ შორის მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, მოგების მიღების მიზნით ან დამკვეთი სხვაგვარად არღვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3.5. შემსრულებელი უფლებამოსილია, შეაჩეროს დამკვეთისათვის მომსახურების მიწოდება იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი არღვევს წინამდებარე მე-3 მუხლით განსაზღვრულ მომსახურებით სარგებლობის ძირითად წესებს. შემსრულებელი უფლებამოსილია, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ დამკვეთი არ აღმოფხვრის დარღვევას მომსახურების შეჩერებიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3.6. დამკვეთი ვალდებულია, მომსახურების შეუფერხებელი მიღების მიზნით, მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა უზრუნველყოს სადემარკაციო წერტილიდან დამკვეთის მხარეს არსებული ქსელის ინტეგრაცია, მთლიანობა და შეუვალობა და შემსრულებელი პასუხს არ აგებს იმ ზიანისათვის, რაც შეიძლება გამოწვეული იქნეს მესამე პირ(ებ)ის მიერ უსანქციო ან დამკვეთის მიერ სანქცირებული ქმედებებით (კიბერთავდასხმა, ჰაკერული შეღწევა და სხვა კიბერდანაშაული).

4. მომსახურების ხელმისაწვდომობა

4.1. შემსრულებელი ვალდებულია, უზრუნველყოს შეკვეთილი მომსახურების ხელმისაწვდომობა წლიური 99%-იანი მაჩვენებლით, რაც გულისხმობს ყოველი სრული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომსახურების ჯამში არაუმეტეს 8 საათიან ისეთ შეწყვეტას ან შეფერხებას, რომლისთვისაც შემსრულებელს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა. ამასთან, დამკვეთისათვის მომსახურების აღნიშნული მაჩვენებლით მიწოდების შემთხვევაში, მომსახურება ჩაითვლება უწყვეტად და ჯეროვნად მიწოდებულად. მომსახურების შეწყვეტად ან შეფერხებად ითვლება ინტერნეტ კავშირის დარღვევის ყოველი ფაქტი, რომელიც დადასტურებულია გამზომ-გამსინჯავი მოწყობილობების საშუალებით, დამკვეთის გამოკითხვით და, რომელიც ზღუდავს დამკვეთის მიერ მომსახურების მიღებას (შემდგომში "დაზიანება").

4.2. დაზიანების ხანგრძლივობა გამოითვლება დამკვეთის მიერ შემსრულებლისათვის დაზიანების შესახებ შეტყობინების გაგზავნისა და შემსრულებლის მიერ მისი მიღების მომენტიდან დაზიანების აღმოფხვრის მომენტამდე. ამასთან, დაზიანების შესახებ დამკვეთი შემსრულებელს ატყობინებს მომხმარებლის პირადი სივრცის საშუალებით, რომლის შემდგომ, საპასუხოდ, შემსრულებელი, ამგვარი პირადი სივრცის საშუალებით უგზავნის დამკვეთს ინფორმაციას დაზიანების სტატუსის შესახებ, ხოლო მომხმარებლის პირადი სივრცის ხელმიუწვდომლობის შემთხვევაში, ცხელ ხაზზე ნებისმიერ დროს განხორციელებული ზარით ან მენეჯერისათვის, 4.3 მუხლის შესაბამისად, შეტყობინების გაგზავნით. დაზიანების აღმოფხვრა წარმოებს მხოლოდ სამუშაო დღეებში და შაბათს (თუ შაბათი არ არის უქმე დღე), თბილისის დროით დილის 9-დან საღამოს 6 საათამდე.

4.3. დაზიანების შესახებ შეტყობინებას მენეჯერი იღებს მხოლოდ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, თბილისის დროით დილის 9-დან საღამოს 6 საათამდე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან სატელეფონო კავშირით, მენეჯერის მობილური ტელეფონის ან სამსახურის შიდა ნომრის მეშვეობით, ხოლო შაბათს, თბილისის დროით დილის 9-დან საღამოს 6 საათამდე - მხოლოდ მენეჯერის მობილური ტელეფონის მეშვეობით. ამასთან, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი შეტყობინება მენეჯერის მიერ მიღებულად ჩაითვლება მიღების დადასტურებისთანავე, ხოლო მიღების დადასტურების არარსებობის შემთხვევაში, გაგზავნიდან 1 საათის შემდეგ.

4.4. დაზიანების ხანგრძლივობის გამოთვლისას არ გაითვალისწინება ისეთი დაზიანების ხანგრძლივობა, რაც გამოწვეულია 5.3 მუხლით განსაზღვრული შემთხვევებით. პერიოდი, როდესაც ხდება მომსახურების მიწოდების შეწყვეტა ან შეფერხება დამკვეთის მიერ წინამდებარე 7.2. მუხლის პირობათა დარღვევის შედეგად, ასევე არ გაითვალისწინება დაზიანების ხანგრძლივობის გამოთვლისას.

5. დაზიანებათა აღმოფხვრა. შემსრულებლის პასუხისმგებლობის ფარგლები.

5.1. შემსრულებელი ვალდებულია, აღმოფხვრას დაზიანება, რომლის შედეგად დამკვეთს შეფერხებით ან საერთოდ არ მიეწოდება შეკვეთილი მომსახურება და რომლის აღმოფხვრის ვალდებულება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტის შესაბამისად, ეკისრება შემსრულებელს. შემსრულებელი ვალდებულია, ასეთი დაზიანება აღმოფხვრას გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტის მე–18[1] მუხლის მიხედვით ასეთი დაზიანების აღმოფხვრისათვის განსაზღვრული ვადისა. კავშირის დაზიანების ის შემთხვევები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ზემოაღნიშნული რეგლამენტით, უნდა აღმოიფხვრას არა უგვიანეს 24 საათისა, თუ ეს არ არის გამოწვეული ფორსმაჟორული გარემოებებით ან/და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი სხვა კომპანიების ქსელის გაუმართაობით. დაზიანების ხანგრძლივობა, რაც გამოწვეულია 5.3 მუხლით განსაზღვრული შემთხვევებით არ გაითვალისწინება დაზიანებათა აღმოფხვრისათვის ამ პუნქტით დადგენილ ვადებში.

5.2. იმ შემთხვევაში, როდესაც დაზიანება სადემარკაციო წერტილიდან შემსრულებლის მხარესაა, შემსრულებელი ვალდებულია აღმოფხვრას დაზიანება უფასოდ, საკუთარი ხარჯებით. იმ შემთხვევაში, თუ დაზიანება სადემარკაციო წერტილიდან დამკვეთის მხარეზეა, შემსრულებელი ვალდებულია აცნობოს დამკვეთს ამის შესახებ და შესთავაზოს მას დაზიანების აღმოფხვრა თანხის გადახდით, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ინდივიდუალურად, დაზიანებიდან გამომდინარე, შემსრულებლის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად.

5.3. შემსრულებელი არ არის ვალდებული აღმოფხვრას დაზიანება, თუ:

ა) დაზიანება არის სადემარკაციო წერტილიდან დამკვეთის მხარეს და იგი არ არის დაკავშირებული მომსახურების მიღებისათვის მოწყობილ ინფრასტრუქტურასთან (კაბელებისა და ინტერნეტ-მომსახურების აპარატურის ერთობლიობა);

ბ) დაზიანება გამოწვეულია დამკვეთის კუთვნილი Wi-Fi აპარატურის გაუმართაობით/დაზიანებით/ტექნიკური წუნით;

გ) დამკვეთი შემსრულებლის წარმომადგენლებს არ უშვებს მომსახურების მიღების ფართზე დაზიანების აღმოსაფხვრელად.

5.4. დაზიანებად არ ითვლება ის შემთხვევა, როდესაც ინტერნეტ კავშირი შეწყდა სადემარკაციო წერტილიდან დამკვეთის მხარეს ინტერნეტ-მომსახურების აპარატურისათვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტით.

5.5. ინტერნეტში ჩართული ან სხვა გზით დაკავშირებული მესამე პირის მიერ დამკვეთისათვის რაიმე საქონლის ან მომსახურების მიყიდვისას შემსრულებელი არ არის ანგარიშვალდებული ამ საქონლის ან მომსახურების ხარისხზე, ფასზე, საქონლისა თუ მომსახურების აღწერილობის შინაარსზე ან/და მესამე მხარის კეთილსინდისიერებაზე.

5.6. შემსრულებელი ვალდებულია, ტექნოლოგიური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, დაიცვას სადემარკაციო წერტილიდან შემსრულებლის მხარეს არსებული საკუთარი ინტერნეტ ქსელის ინტეგრაცია და შეუვალობა, არ დაუშვას ქსელებითა და საკომუნიკაციო საშუალებებით არასანქცირებული სარგებლობა. მიუხედავად ამისა, მხარეები ადასტურებენ, რომ ვირუსებისა და საფრთხის შემცველი ტექნოლოგიური საშუალებებისაგან დამკვეთის სრულყოფილი დაცვა პრაქტიკულად შეუძლებელია, შესაბამისად, აღნიშნული მიზეზით დამკვეთისათვის მიყენებულ რაიმე სახის ზიანზე პასუხისმგებლობა არ ეკისრება შემსრულებელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ზიანი დადგა შემსრულებლის მიერ ამ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების უხეში დარღვევის შედეგად, რაც გამოწვეული იყო შემსრულებლის განზრახვით..

5.7. aDSL მომსახურების მიწოდების ტექნოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე (სატელეფონო ქსელის გამოყენება), aDSL მომსახურება და მისი ხარისხი დამოკიდებულია სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლების, მათ შორის საქალაქთაშორისო ან საერთაშორისო სატელეფონო მომსახურების ოპერატორების მოწყობილობების და მათი ფუნქციონირების ხარისხზე, რომელიც სცილდება შემსრულებლის პასუხისმგებლობის ფარგლებს, შესაბამისად, შემსრულებელი პასუხს არ აგებს დამკვეთის წინაშე მომსახურების შეფერხებისათვის, როცა ასეთი შეფერხება გამოწვეულია ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სხვა მომწოდებლების ან/და სატელეფონო ქსელების უხარისხობის/გაუმართაობის მიზეზით.

6. ზოგადი ფინანსური პირობები

6.1. დამკვეთი ვალდებულია, გადაიხადოს შეკვეთის ფორმით განსაზღვრული მომსახურების ყოველთვიური საფასური, ინსტალაციის ერთჯერადი საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვა გადასახდელები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეკვეთის ფორმით განსაზღვრული გადახდის პირობის შესაბამისად.

6.2. მომსახურების ყოველთვიური საფასური მოიცავს ფაქტობრივად გაწეული/გასაწევი მომსახურების ღირებულებას და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე დამკვეთისათვის გადაცემული ინტერნეტ-მომსახურების აპარატურით სარგებლობის საფასურს.

6.3. ანგარიშსწორება ხორციელდება ყოველთვიურად, წინასწარი ან შემდგომი გადახდის პირობით, უნაღდო ანგარიშსწორების გზით. ანგარიშსწორების კონკრეტული პირობები განსაზღვრულია შეკვეთის ფორმით.

6.4. წინასწარი გადახდის პირობის არსებობის შემთხვევაში, დამკვეთს, მომსახურების ყოველთვიური საფასურის გადახდამდე 15, 5 და 2 კალენდარული დღით ადრე, ეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინება მომსახურების საფასურის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში მომსახურების მოსალოდნელი შეჩერების თაობაზე. შემდგომი გადახდის პირობის არსებობის შემთხვევაში კი, ამგვარი შეტყობინება იგზავნება სამჯერ - 10, 5 და 1 კალენდარული დღით ადრე. შეტყობინება იგზავნება შეკვეთის ფორმაში მითითებულ დამკვეთის საკონტაქტო პირის მობილურ ნომერზე ან/და ელ.ფოსტის მისამართზე.

6.5. თუ გადახდის ვადის დადგომის მომენტში შემსრულებლის ბილინგის სისტემაში არ არის ასახული დამკვეთის მიერ დავალიანების სრული დაფარვა, მაშინ შემსრულებელი უფლებამოსილია, შეაჩეროს მომსახურების გაწევა. მომსახურების შეჩერების თარიღიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის შემდეგ, შემსრულებელი უფლებამოსილია, შეწყვიტოს დამკვეთისათვის იმ შეკვეთილი მომსახურების მიწოდება, რომლისთვისაც დამკვეთს ერიცხება დავალიანება და დამატებით შემსრულებელი უფლებამოსილია დააკისროს დამკვეთს ჯარიმა გადაუხდელი თანხის 20 პროცენტის ოდენობით.

6.6. თუ დამკვეთი, მომსახურების შეჩერების პერიოდის განმავლობაში, სრულად დაფარავს დავალიანებას, მაშინ მას, აღნიშნული დავალიანების დაფარვის შემსრულებლის ბილინგის სისტემაში ასახვიდან ერთი საათის განმავლობაში, აღუდგება მომსახურების მიწოდება. თუ დავალიანების დაფარვა აისახა არასამუშაო საათებში, მაშინ მომსახურება აღდგენა მომდევნო სამუშაო დღის პირველი სამუშაო საათის განმავლობაში.

6.7. თუ მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხების ხანგრძლივობა გადასცდა ამ ხელშეკრულების 4.1 მუხლით განსაზღვრულ დროს და კალენდარული დღის განმავლობაში შეადგინა არანაკლებ 1 საათი, მაშინ შემსრულებელი დამკვეთს, მოცემული დღის განმავლობაში მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხებისათვის, სთავაზობს შემდეგ საკომპენსაციო პირობას: ა) 1-დან 8 საათამდე მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხებისთვის - ყოველთვიური საფასურის პროპორციული <u>ერთი დღის</u> მომსახურების საფასური; ბ) 8-დან 16 საათამდე მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხებისთვის - ყოველთვიური საფასურის პროპორციული <u>ორი დღის</u> მომსახურების საფასური; გ) 16-დან 24 საათამდე მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხებისთვის - ყოველთვიური საფასურის პროპორციული <u>სამი დღის</u> მომსახურების საფასური. აღნიშნული საკომპენსაციო პირობა ამოქმედდება მხოლოდ დამკვეთის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, ამასთან, ამგვარი მოთხოვნა შემსრულებელს უნდა წარედგინოს მიმდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. წინასწარი გადახდის პირობის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისად შემცირდება შემდგომ საანგარიშო პერიოდში გადასახდელი მომსახურების საფასური, ხოლო შემდგომი გადახდის პირობის არსებობის შემთხვევაში - მიმდინარე საანგარიშო პერიოდისათვის გადასახდელი მომსახურების საფასური. შემსრულებელი ვალდებულია, ინფორმაცია მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხების შესახებ, შეინახოს მინიმუმ შემდგომი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ორაზროვნების თავიდან აცილების მიზნით, მიმწოდებელი აცხადებს, რომ მას, შესაძლოა, არ ჰქონდეს ტექნიკური შესაძლებლობა აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ შეინახოს ეს ინფორმაცია.

7. მიღება–ჩაბარების აქტი. ინტერნეტ-მომსახურების აპარატურა.

7.1. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი ადასტურებს შეკვეთილი მომსახურების ინსტალაციასა და ინტერნეტ-მომსახურების აპარატურის დამკვეთისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემის ფაქტს. მხარეები ადასტურებენ, რომ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირები არიან მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ ინტერნეტ-მომსახურების აპარატურის მიღება-ჩაბარებას.

7.2. დამკვეთი ვალდებულია, გაუფრთხილდეს შემსრულებლის მიერ მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ ინტერნეტ-მომსახურების აპარატურას, როგორც საკუთარს. დამკვეთს ეკრძალება ინტერნეტ-მომსახურების აპარატურის ნებისმიერი სახითა თუ ფორმით მოდიფიცირება, მათ შორის საგარანტიო ლუქის (საგარანტიო ლუქის არსებობის შემთხვევაში) მოხსნა, მოწყობილობებისა თუ პროგრამული უზრუნველყოფის ნებისმიერი სახის ცვლილება, მიუხედავად იმისა, იწვევს თუ არა ლუქის მოხსნა, ან ცვლილება ინტერნეტ-მომსახურების აპარატურის დაზიანებას. დამკვეთის ბრალით ინტერნეტ-მომსახურების აპარატურის სრულად დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში, დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს ინტერნეტ-მომსახურების აპარატურის ღირებულება, რომლის ოდენობაც განისაზღვრება მიღება-ჩაბარების აქტით. დამკვეთის ბრალით ინტერნეტ-მომსახურების აპარატურის ნაწილობრივ დაზიანების შემთხვევაში (თუ შესაძლებელია დაზიანების აღმოფხვრა), დამკვეთი გადაუხდის შემსრულებელს დაზიანების აღმოფხვრის ხარჯებს. ამ მუხლით განსაზღრულ ანგარიშსწორებას დამკვეთი განახორციელებს შესაბამისი მომსახურების ყოველთვიური საფასურის მომდევნო გადახდასთან ერთად ან შემსრულებლის მოთხოვნიდან (ინვოისის გაგზავნიდან) 10 დღის ვადაში.

7.3. დამკვეთი ვალდებულია, შეკვეთილი მომსახურების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემდეგ, შემსრულებლის წერილობითი მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, შემსრულებელთან შეთანხმებით, დაუშვას შემსრულებლის წარმომადგენლები მომსახურების მიღების ფართზე და შეუქმნას მათ შეწყვეტილი მომსახურების აპარატურის დემონტაჟისათვის საჭირო პირობები. თუ დამკვეთი დაარღვევს ამ ვალდებულებას, დამკვეთი ვალდებულია, შემსრულებლის მოთხოვნიდან (ინვოისის გაგზავნიდან) 10 კალენდარულ დღეში გადაუხადოს შემსრულებელს ინტერნეტ-მომსახურების აპარატურის ღირებულება, რომელიც მითითებულია მიღება–ჩაბარების აქტში.

8. ინფორმაციის მიწოდება

8.1. შეკვეთის ფორმით ან დამატებითი შეთანხმებით, მხარეები შესაძლოა შეთანხმდნენ, რომ შემსრულებელი დამკვეთს მიაწვდის გრაფიკულად გამოსახულ მონაცემებს, დროის კონკრეტულ ინტერვალში დამკვეთის მიერ გამოყენებული ინტერნეტ რესურსების მოცულობის ანუ დამკვეთის მიერ გენერირებული (წარმოქმნილი) ტრაფიკის შესახებ. დამკვეთის მიერ გენერირებული ტრაფიკი, თავის მხრივ, წარმოადგენს დამკვეთის კომპიუტერების მეშვეობით შემსრულებლის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და ტექნიკური საშუალებების ჯამურ დატვირთვას დროის კონკრეტულ ინტერვალში. ამ ინფორმაციის დამუშავების პროგრამულ უზრუნველყოფას, დამკვეთისათვის მისი მიწოდების ფორმასა და პერიოდულობას განსაზღვრავს შემსრულებელი ინტერნეტ ტექნოლოგიების სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკისა და თავად შემსრულებლის ტექნიკური შესაძლებლობების შესაბამისად.

8.2. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს, სულ მცირე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე, ინდივიდუალური შეტყობინებით მიაწოდოს ინფორმაცია მომსახურების პირობების იმგვარი ცვლილების შესახებ, რაც ზრდის დამკვეთზე დაკისრებული ვალდებულებების მოცულობას ან/და იმგვარად ცვლის მომსახურების პირობებს, რომ აღნიშნულს შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს დამკვეთის გადაწყვეტილებაზე მომსახურების მიღების გაგრძელების თაობაზე.

8.3. შემსრულებელი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეცვალოს მომსახურების ყოველთვიური საფასური ან/და მომსახურების პაკეტი, რის შესახებაც უნდა აცნობოს დამკვეთს ინდივიდუალური შეტყობინებით, ცვლილების ძალაში შესვლამდე არანაკლებ 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე.

9. გადახდის გადავადება

9.1. დამკვეთს, რომელიც შემსრულებელთან ანგარიშსწორებას ახორციელებს წინასწარი გადახდის პირობით, უფლება აქვს შემსრულებელს წერილობით მოსთხოვოს შემდგომი თვის საფასურის გადახდის გადავადება გადახდის ვადის დადგომიდან არაუმეტეს შემდგომი 10 კალენდარული დღით, ხოლო თუ მოთხოვნა წარდგენილია გადახდის ვადის დადგომის შემდგომ, მაშინ აღნიშნულ 10 კალენდარულ დღემდე დარჩენილი დღეების პერიოდით (შემდგომში "საშეღავათო პერიოდი"). გადახდის გადავადების შესახებ მოთხოვნა შემსრულებელს შეიძლება წარედგინოს გადახდის ვადის დადგომამდეც.

9.2. დამკვეთს, საშეღავათო პერიოდის განმავლობაში, მიეწოდება მომსახურება და ერიცხება მომსახურების საფასური. საშეღავათო პერიოდის ამოწურვის შემდეგ, თუ დამკვეთი არ განახორციელებს გადავადებული თანხის გადახდას, შემსრულებელი უფლებამოსილია შეუჩეროს დამკვეთს მომსახურება, რაზეც გავრცელდება ამ ხელშეკრულების 6.5. და 6.6. მუხლებით განსაზღვრული პირობები.

10. მომსახურების შეჩერება

10.1. დამკვეთს უფლება აქვს შემსრულებელს მოსთხოვოს მომსახურების შეჩერება წელიწადში (12 თვიანი პერიოდი) არაუმეტეს 60 (სამოცი) დღის განმავლობაში. მომსახურების უფასო შეჩერება გულისხმობს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში დამკვეთს არ მიეწოდება და არც ერიცხება მომსახურების საფასური. დამკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს მომსახურების შეჩერება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას არ ერიცხება შემსრულებლის მიმართ დავალიანება იმ მომსახურებაზე, რომლის შეჩერებაც სურს. ეს პირობა მოქმედებს მომსახურების საფასურის როგორც წინასწარი, ასევე შემდგომი გადახდის პირობის არსებობის შემთხვევებში.

10.2. მომსახურების შეჩერების მოთხოვნით დამკვეთი უკავშირდება მენეჯერს წერილობით და ითხოვს მომსახურების შეჩერებას თარითიდან თარიღამდე განსაზღვრული კონკრეტული ვადით. მომსახურების შეჩერების პერიოდის დასრულების შემდგომ მომსახურების მიწოდება აღდგება ავტომატურად.

11. მომსახურების შეწყვეტა

11.1. დამკვეთს უფლება აქვს, შეწყვიტოს მომსახურება შეწყვეტის შესახებ კონკრეტული მიზეზის მითითებით, ნებისმიერ დროს შემსრულებლისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზითა და მისთვის სასურველი შეწყვეტის თარიღის მითითებით. შეკვეთილი მომსახურების შეწყვეტის ფაქტი არ ათავისუფლებს დამკვეთს შეწყვეტის თარიღისათვის შემსრულებლის მიმართ დაგროვილი და გადაუხდელი დავალიანების გადახდის ვალდებულებისაგან.

11.2. შემსრულებელი უფლებამოსილია, შეწყვიტოს შეკვეთილი მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულებით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. შემსრულებელი ასევე უფლებამოსილია, შეწყვიტოს შეკვეთილი მომსახურება იმ შემთხვევაშიც, თუ შეუძლებელი ხდება დამკვეთისათვის შეკვეთილი მომსახურების მიწოდება ობიექტური მიზეზების გამო, რაც შეიძლება იყოს, მაგალითად, შემსრულებლის საკომუნიკაციო ქსელის მნიშვნელოვანი დაზიანება, შესაბამისი ტექნიკური საშუალებების განადგურება/არქონა და სხვა.

12. ფორს-მაჟორი

12.1. არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

12.2. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყონებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

12.4. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყონებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

12.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება. თუ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს მომსახურების ხელშეკრულების მოქმედება მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების (მათ შორის, ელექტრონული საფოსტო შეტყობინება) გაგზავნის გზით.

13. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

13.1. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ყველა საკითხი, მხარეთა შეთანხმებით, მოწესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა დავას, უთანხმოებას და პრეტენზიას მხარეები წყვეტენ ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დამკვეთს შეუძლია მიმართოს შემსრულებლის აბონენტთა პრეტენზიების განყოფილებას. დამკვეთის წერილობითი პრეტენზია/საჩივარი შედგენილი უნდა იქნას განცხადების სახით და წარედგინოს/მიეწოდოს შემსრულებელს ადმინისტრაციული ოფისის მისამართზე: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას N7 აბონენტთა პრეტენზიების განყოფილებას ან შემსრულებლის ნებისმიერი რეალიზაციისა და აბონენტთა მომსახურების ოფისს. პრეტენზიაში დამკვეთმა უნდა მიუთითოს ვინაობა, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია. პრეტენზიაში მკაფიოდ და სრულყოფილად უნდა იყოს ჩამოყალიბებული თუ რა მიაჩნია დამკვეთს შემსრულებლის მხრიდან არასწორ ან არასამართლიან ქმედებად, მოთხოვნა და გარემოებები, რომელსაც მოთხოვნა ეფუძნება. დამკვეთის მიერ წარდგენილი პრეტენზია განხილული იქნება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

13.3. მხარეებს, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ დროს, შეუძლიათ მიმართონ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადაა 2021 წლის 6 იანვრიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2021 წლის 06 იანვრიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14.3 როდესაც წინამდებარე ხელშეკრულება ან თითოეულ მომსახურება წყდება ვადაზე ადრე დამკვეთის ინიციატივით და ეს არ არის გამოწვეული შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევით, შემსრულებელი უფლებამოსილია ხელშეკრულების/მომსახურების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო, მოსთხოვოს და დამკვეთი ვალდებულია ერთი თვის ვადაში აუნაზღაუროს შემსრულებელს საჯარიმო თანხა, რომელიც ტოლია წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თითოეულ სერვისზე ან მთლიანად მიღებული მომსახურების საფასურის საშუალო თვიური მაჩვენებლის 20%-ის. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ დამკვეთს არ აქვს გადახდილი შეკვეთის ფორმით გათვალისწინებული ინსტალაციის ერთჯერადი ღირებულება, შემსრულებლის მოთხოვნის შემთხვევაში, დამკვეთი ვალდებულია, ერთი თვის ვადაში აუნაზღაუროს შემსრულებელს აღნიშნული ღირებულება. დამატებით, იმ შემთხვავაში თუ მომსახურების გაწევის უზრუნველსაყოფად, შემსრულებლის მიერ შეძენილია/შესრულებულია აპარატურა/სამუშაოები, რაც გათვალისწინებულია შეკვეთის ფორმით, შემსრულებლის მოთხოვნის შემთხვევაში, დამკვეთი ვალდებულია, ერთი თვის ვადაში აუნაზღაუროს შემსრულებელს ამგვარი შეძენილი/შესრულებული აპარატურის/სამუშაოების ღირებულება, ამასთან აპარატურის ღირებულების გადახდის შემთხვევაში, შემსრულებლის მიერ შეძენილი აპარატურა გადადის დამკვეთის საკუთრებაში.

15. დასკვნითი დებულებები

15.1. შეკვეთილ მომსახურებაში შესაძლოა, პერიოდულად, შევიდეს ცვლილებები, რაც გაფორმდება შეკვეთის ფორმის დანართის სახით. მხარეები გააფორმებენ ახალ შეკვეთის ფორმას თუ ხდება ახალი მომსახურებ(ებ)ის დამატება. ამასთან, ახალი შეკვეთის ფორმა არ აუქმებს ძველ შეკვეთის ფორმებს.

15.2. ყველა ის შემთხვევა და პირობა, რომელიც გათვალისწინებული არ არის ხელშეკრულებით, განიხილება და გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15.3. ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალმემკვიდრეთათვის, წარმომადგენელთათვის, რწმუნებულებისა და მუშაკებისათვის.

15.4. ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ძალას კარგავს მხარეთა შორის მანამდე არსებული და ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მიმოწერა და ზეპირი შეთანხმება.

15.5. ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება და შესწორება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესრულებული იქნება წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მომსახურების კონკრეტული პირობების ცვლილება ხორციელდება შემსრულებლის მიერ ცალმხრივად, დამკვეთისათვის ხელშეკრულების შესაბამისად შეტყობინების გაგზავნის გზით.

15.6. დამკვეთი პასუხს აგებს შეკვეთის ფორმაში მითითებული დამკვეთის საკონტაქტო მონაცემების სისწორეზე. მითითებულ მონაცემთაგან რომელიმეს ცვლილების თაობაზე დამკვეთმა წინასწარ და წერილობითი ფორმით უნდა აცნობოს ამის შესახებ შემსრულებელს.

15.7. მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას. ამ შემთხვევაში მხარეები შეეცდებიან, მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულება შეცვალონ ისეთი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულების არსს.

15.8. ყოველგვარი ორაზროვნებისა და გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები ადასტურებენ და თანხმდებიან, რომ ხელშეკრულება ან მისი რომელიმე ნაწილი არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ იგი ეწინააღმდეგებოდეს მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტს ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ იმპერატიულ მოთხოვნებს.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსრულებელი	**დამკვეთი**
_____	_____
გენერალური დირექტორის მოადგილე ზურაბ ზარიძე	დირექტორი მალხაზი ასლამაზაშვილი

Malkhazi Aslamazashvili Digitally signed by Malkhazi Aslamazashvili
Date: 2021.01.06 13:26:36 +04'00'

ინტერნეტ-მომსახურების შეკვეთის ფორმა №1

06 იანვარი 2021 წელი

<u>მხარეები</u>: *ერთის მხრივ,* **შპს "მაგთიკომი" (შემდგომში "შემსრულებელი")** - ს/კ 204876606, იურიდიული მისამართი: პოლიტკოვსკაიას 7, თბილისი, საქართველო და, *მეორეს მხრივ,* **სსიპ კოლეჯი „აისი" (შემდგომში "დამკვეთი")** - ს/კ 227770800, იურიდიული მისამართი: გურჯაანი ს. კაჭრეთი

წინამდებარე შეკვეთის ფორმა წარმოადგენს მხარეთა შორის 2021 წლის 06 იანვარს გაფორმებული "ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების" (შემდგომში "ხელშეკრულება") **დანართს.** დამკვეთის მიერ შეკვეთილი ინტერნეტ-მომსახურების ძირითადი მახასიათებლები და ფინანსური პირობები მოცემულია ცხილში:

შეკვეთილი მომსახურება	UID	მისამართი	მომსახურების გაწევის პერიოდი	ინტერნეტის სიჩქარე:		ყოველთვიური საფასური
				ლოკალი	გლობალი	ოდენობა (GEL)
FTTH	8763103	ლაგოდეხი, სოფ. შრომა ნაკვეთი 52.076	01.06.2021-31.12.2021	20	3	400
FTTH	010111403	დედოფლისწყარო, ჯაფარიძე	01.06.2021-31.12.2021	20	3	400
FTTH	010111401	გურჯაანი, კაჭრეთი	01.06.2021-31.12.2021	50	20	1000
FTTH	010111402	ახმეტა, ქვემო ალვანი	01.06.2021-31.12.2021	40	6	650

<u>ინტერნეტ მომსახურების ხარისხობრივი მაჩვენებლები:</u>
ფაქტობრივად ხელმისაწვდომი სიჩქარე არის ცხრილში დაფიქსირებული მაქსიმალური სიჩქარის 80%;
მინიმალური სიჩქარე არის ცხრილში დაფიქსირებული მაქსიმალური სიჩქარის 20%;
დაყოვნება - < 400 მილიწამი;
დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი - <3 %;
ჯიტერი - <50 მილიწამი.

დამატებითი სტატიკური IP-მისამართის გამოყოფის თვიური სააბონენტო შეადგენს 40 ლარს დღგ-ს ჩათვლით.

1. ცხრილში მოცემული ზოგიერთი პირობის განმარტება:
   1.1. დღეებით გამოხატული **ინსტალაციის ვადა** წარმოადგენს სამუშაო დღეების (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით) რაოდენობას, რომელიც აითვლება წინამდებარე შეკვეთის ფორმის გაფორმების მეორე დღიდან; შემსრულებელი უფლებამოსილია, განახორციელოს ინსტალაცია ინსტალაციის თარიღის დადგომამდე ნებისმიერ დროს. ინსტალაციის განხორციელების ფაქტს ადასტურებს მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი;
   1.2. **ინსტალაციის ერთჯერადი ღირებულების** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა ხდება შეკვეთილი მომსახურების პირველი თვის საფასურის გადახდასთან ერთად ყოველთვიური საფასურისათვის განსაზღვრული გადახდის პირობის შესაბამისად;
   1.3. მომსახურების ყოველთვიური საფასურის გადახდა უნდა მოხდეს ყოველი შემდგომი კალენდარული თვის არაუგვიანეს 25 რიცხვისა, ხოლო თუ ეს თარიღი ემთხვევა არასამუშაო/დასვენების დღეებს, მაშინ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის.
   1.4. ცხრილში აღნიშნული ყველა თანხა მოიცავს დღგ-ს.
2. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, შემსრულებლის შემდეგი საბანკო რეკვიზიტების მეშვეობით:
   მიმღები: შპს „მაგთიკომი", ს/კ 204876606
   მომსახურე ბანკი: სს ვითიბი ბანკი ჯორჯია;
   ბანკის კოდი: ცენტრალური ფილიალი; UGEBGE22
   ანგარიშის N: GE73VT6600000000423607
3. ხელშეკრულებით განსაზღვრული შეტყობინებები იგზავნება მხარეთა შემდეგი საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად:
   დამკვეთის საკონტაქტო ინფორმაცია:

საკონტაქტო პირი	ბესიკი ზირაქაშვილი	
საკონტაქტო ინფორმაცია:	E-mail:	kachreti@gmail.com
	Mob.:	577557335
	Tel.:	--
	მისამართი:	---

   თუ იცვლება დამკვეთის საკონტაქტო ინფორმაცია, მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ცვლილების შესახებ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ცვლილებამდე 3 სამუშაო დღით ადრე.
4. ამ შეკვეთის ფორმაში ნახსენებ ტერმინებს აქვთ ხელშეკრულებით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსრულებელი	**დამკვეთი**
_____	_____
გენერალური დირექტორის მოადგილე ზურაბ ზარიძე	დირექტორი მალხაზი ასლამაზაშვილი

Malkhazi Aslamazashvili Digitally signed by Malkhazi Aslamazashvili
Date: 2021.01.06 13:27:08 +04'00'

VOIP მომსახურების შეკვეთის ფორმა # 2

06 იანვარი 2021 წ

<u>მხარეები</u>: *ერთის მხრივ,* **შპს "მაგთიკომი" (შემდგომში "შემსრულებელი")** - ს/კ 204876606, იურიდიული მისამართი: პოლიტკოვსკაიას 7, თბილისი, საქართველო და, *მეორეს მხრივ,* **სსიპ კოლეჯი „აისი" (შემდგომში "დამკვეთი")** - ს/კ 227770800, იურიდიული მისამართი: გურჯაანი ს. კაჭრეთი
წინამდებარე შეკვეთის ფორმა წარმოადგენს მხარეთა შორის 2021 წლის 06 იანვარს გაფორმებული "ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების" (შემდგომში "ხელშეკრულება") **დანართს.** დამკვეთის მიერ შეკვეთილი ინტერნეტ-მომსახურების ძირითადი მახასიათებლები და ფინანსური პირობები მოცემულია ცხილში:

სააბონენტო ნომერი	**მომსახურების** მიღების მისამართი	**სატელეფონო არხების** რაოდენობა	**ვირტუალური ასს**-ის მოწყობის ერთჯერადი საფასური (ლარი)	ყოველთვიური **სააბონენტო გადასახდელი** (ლარი)			**ლიმიტი** (ლარი)
				სააბონენტო ნომრისთვის	**სატელეფონო არხებისთვის** (ჯამური)	**ვირტუალური ასს**-სთვის	
353200423	გურჯაანი კაჭრეთი	1	-	5	-	-	50
353200493	გურჯაანი კაჭრეთი	1	-	5	-		50

5. ცხრილში მოცემული ზოგიერთი პირობის განმარტება:
   5.1. დღეებით გამოხატული ინსტალაციის ვადა წარმოადგენს სამუშაო დღეების (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა) რაოდენობას, რომელიც აითვლება წინამდებარე **შეკვეთის ფორმის** გაფორმების მეორე დღიდან; **ოპერატორი** უფლებამოსილია, განახორციელოს ინსტალაცია ინსტალაციის თარიღის.
   5.2. ერთჯერადი საფასურების გადახდა ხდება შესაბამისი **მომსახურების** პირველი თვის **სააბონენტო გადასახდელის** გადახდასთან ერთად;
   5.3. ყოველთვიური **სააბონენტო გადასახდელის**/სხვა საფასურის გადახდა ხორციელდება შემდგომი გადახდის პირობით, ყოველი შემდგომი კალენდარული თვის არაუგვიანეს 25 რიცხვისა, ხოლო თუ ეს თარიღი ემთხვევა არასამუშაო/დასვენების დღეებს, მაშინ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;
   5.4. ცხრილით განსაზღვრული თანხები მოიცავს დღგ-ს.
6. **აბონენტი ოპერატორს**, ყოველთვიურ **სააბონენტო გადასახდელთან** ერთად და მისი გადახდისთვის დადგენილ ვადაში, ასევე გადაუხდის წინა **საანგარიშო პერიოდში** დარიცხული სატელეფონო კავშირების წუთობრივ ღირებულებას. დარიცხვა განხორციელდება ქვემოთ მოცემულ ცხრილში გათვალისწინებული ტარიფებით. ამასთან, ამავე ცხრილით განსაზღვრულია ზოგიერთი **დამატებითი მომსახურების** სახე და საფასური:

დასახელება	**ღირებულება ლარი დღგ-ს ჩათვლით**
სააბონენტო გადასახდელი თითოეულ დამატებით ნომერზე	5
სააბონენტო გადასახდელი თითოეულ დამატებით არხზე	5
ფიქსირებული ოპერატორები (თბილისი) /წუთი	0.06
მაგთიფიქსი/წუთი	0.06
ფიქსირებული ოპერატორები (საქართველოს რეგიონი) /წუთი	0.06
მაგთიკომის ქსელი (მაგთი, ბალი, ბანი) /წუთი	0.12
ჯეოსელი და ბილაინი/წუთი	0.12
მაგთიკომის ქსელში ჩართული ქალაქის ფიქსირებული ნომრების მიმართულებით/წუთი	უფასო

7. **შეკვეთის ფორმით** გაუთვალისწინებელი მომსახურებაზე, მათ შორის და არამხოლოდ საერთაშორისო ზარებზე მოქმედებს სტანდარტული ტარიფები და პირობები, რომელიც მოცემულია **ოპერატორის ვებ-გვერდზე**.
8. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით **ოპერატორის** შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით:
   მიმღები: შპს „მაგთიკომი", ს/კ 204876606
   მომსახურე ბანკი: ვითიბი ბანკი ჯორჯია ცენტრალური ფილიალი
   ბანკის კოდი: UGEBGE22
   ანგარიშის N: GE73VT6600000000423607
9. **ხელშეკრულებით** განსაზღვრული შეტყობინებები იგზავნება **მხარეთა** შემდეგი საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად:
   აბონენტის საკონტაქტო ინფორმაცია:

საკონტაქტო პირი	ბესიკი ზირაქაშვილი	
საკონტაქტო ინფორმაცია:	E-mail:	kachreti@gmail.com
	Mob.:	577557335
	Tel.:	--
	მისამართი:	---

   თუ იცვლება დამკვეთის საკონტაქტო ინფორმაცია, მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ცვლილების შესახებ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ცვლილებამდე 3 სამუშაო დღით ადრე.
10. ამ შეკვეთის ფორმაში ნახსენებ ტერმინებს აქვთ ხელშეკრულებით განსაზღვრული მნიშვნელობა.

თუ იცვლება **აბონენტის** ან **მენეჯერის** საკონტაქტო ინფორმაცია, **მხარე** ვალდებულია მეორე **მხარეს** აცნობოს ცვლილების შესახებ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ცვლილებამდე 3 სამუშაო დღით ადრე.

11. **მომსახურების** მიწოდებისათვის საჭირო ინსტალაციის და **აპარატურის** გადაცემა წარმოებს **მხარეთა** შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების დოკუმენტის გაფორმებით. მიღება-ჩაბარების დოკუმენტი განსაზღვრავს **მომსახურების აპარატურის აბონენტისათვის** გადაცემის ფორმას და პირობებს, მათ შორის, ადასტურებს შეკვეთილი **მომსახურების** ინსტალაციის ფაქტს. იმ შემთხვევაში, თუ ინსტალაციიდან 10 დღის ვადაში **აბონენტი** ხელს არ მოაწერს მიღება-ჩაბარების აქტს, **ოპერატორი** უფლებამოსილია შეუზღუდოს **აბონენტს** მომსახურების მიწოდება.
12. ამ **შეკვეთის ფორმაში** ნახსენებ ტერმინებს აქვთ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული მნიშვნელობა.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსრულებელი	**დამკვეთი**
_____ გენერალური დირექტორის მოადგილე ზურაბ ზარიძე	_____ დირექტორი მალხაზი ასლამაზაშვილი

Malkhazi Aslamazashvili

Digitally signed by Malkhazi Aslamazashvili
Date: 2021.01.06 13:27:40 +04'00'

Digitally signed by MagtiCom LLC
2021.01.06 14:16:28 +0400